გრასის დეზინფორმაციის ბრიფი - 28 მაისი - 3 ივნისი

- **„ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტის ვეტო დაძლია; პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კანონპროექტი საქართველოს დაეხმარება, გახდეს ევროკავშირის წევრი;**
- **მმართველი პარტიის რადიკალური ფრთა მოითხოვს, კანონის მოწინააღმდეგეები ჯაშუშობის მუხლით გასამართლდნენ;**
- **„ქართული ოცნება“ თავს ესხმის აშშ-ს, გერმანიას, ლიეტუვას, ლატვიას, ესტონეთსა და ისლანდიას;**
- **ანაკლიის პორტის პროექტში „ქართულმა ოცნებამ“ ჩინური კონსორციუმი გამოაცხადა გამარჯვებულად;**
- **პროკრემლისტური დაჯგუფებები მხარს უჭერენ „აგენტების კანონის“ მიღებას;**
- **სხვა ანტიდასავლური ნარატივები, რომლებიც პროკრემლისტურმა დაჯგუფებებმა გააჟღერეს.**

„ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტის ვეტო დაძლია; პრემიერ-მინისტრის განცხადებით, კანონპროექტი საქართველოს დაეხმარება, გახდეს ევროკავშირის წევრი

მაისს, „ქართულმა ოცნებამ“ 84 ხმით დაძლია პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ვეტო რუსული სტილის კანონპროექტზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დამოუკიდებელ მედიას, რომელთა ყოველწლიური დაფინანსების 20%-ზე მეტი უცხოური წყაროებიდანაა, ავალდებულებს დარეგისტრირდნენ, როგორც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელნი“ (აგენტები). კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროს ანიჭებს უფლებამოსილებას, წამოიწყოს ორგანიზაციების მონიტორინგი და მოითხოვოს ინფორმაცია, მათ შორის კონფიდენციალური და პერსონალური ინფორმაცია დასაქმებულების შესახებ. კანონპროექტით გათვალისწინებული პირობების დაუმორჩილებლობა დაისჯება ფინანსური სანქციებით, რომლებიც წელიწადში 245,000 ლარს ხელის მოწერაზე, 3 ივნისს კანონი პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა დაამტკიცა.

- „უცხო ქვეყნის გავლენის მხარეს დგებით და არა ქართველი ხალხის გავლენის მხარეს“, სხდომაზე. პარლამენტის თავმჯდომარე ამტკიცებდა, რომ ოპოზიციის პოლიტიკას უცხოელი პოლიტიკოსების განცხადებები განსაზღვრავს. აგრეთვე, ის ამბობდა, რომ ქართველ ხალხს სურს მეგობრები და არა - მეურვეები [დასავლეთი], დამოუკიდებლობა და არა - მორჩილება, ქართული გავლენა და არა - უცხოური.

- საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, მამუკა მდინარაძის Facebook გვერდზე გამოქვეყნებული პოსტის თანახმად, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მასობრივი წინააღმდეგობის მიუხედავად, საქართველო დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებას შეძლებდა. ყველა მეგობარმა უნდა იცოდეს, რომ საქართველო მზადაა მხოლოდ ღირსეული და ჭეშმარიტი მეგობრობისთვის; ასევე, ქართველი ხალხის მოტყუება ან აგენტურით მართვა ვერ მოხერხდება.

- „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა და თბილისის მერმა კახა კალაძემ კანონპროექტის დამტკიცება მიულოცა ყველას, „ვისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ საქართველო წყვეტდეს თავის მომავალს“. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მშვიდობიანი არჩევნებით და არა - უცხოური ძალების გავლენით, რომელთა მიზანი ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამოწვევაა. მისი შეფასებით, ბოლო თვეების განმავლობაში, საქართველომ წარმოუდგენელი მასშტაბის ზეწოლა, მუქარა, შანტაჟი და შეურაცხყოფა განიცადა, რადგან გაბედა, დაეცვა საკუთარი თავი იმ სცენარისგან, რომელიც უკრაინაში განვითარდა [მაიდანის რევოლუცია და რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრა უკრაინაში].

- „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ირაკლი ქადაგიშვილის მტკიცებით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე პრეზიდენტმა და მისმა საპარლამენტო მდივანმა ვერ შეძლეს წარედგინათ ერთი სამართლებრივი არგუმენტიც კი კანონპროექტის წინააღმდეგ. მიუხედავად კანონპროექტის შესახებ ბევრი ცუდი მოსაზრების გაჟღერებისა, არასდროს თქმულა, თუ რატომ არის გამჭვირვალობა ცუდი. ქადაგიშვილის განცხადებით, სამართლებრივი კონტრარგუმენტების არარსებობის ფონზე, რჩება მხოლოდ შანტაჟი და დაშინება სანქციებთან დაკავშირებით. დეპუტატი ირწმუნებოდა, რომ კანონი არ ეწინააღმდეგება აშშ-სა და საქართველოს შორის დამყარებულ სტრატეგიულ ურთიერთობას, ასე რომ, სანქციებზე საუბარი აღნიშნული კავშირებისთვის კონტრპროდუქტიული და დამაზიანებელია.

- დეპუტატებმა რიმა ბერაძემ და ირმა ზავრადაშვილმა პრეზიდენტის ვეტოს დაძლევას უხეში განცხადებებით დაუჭირეს მხარი. ბერაძის თქმით, პარტია მტკიცედ ერთიანია და თავადაც მზადაა აშშ-ს მხრიდან მოსალოდნელი სანქციებისთვის, თუ ეს საქართველოს ინტერესებს შეესაბამება. ზავრადაშვილმა პრეზიდენტის არგუმენტებს „სისულელე“ უწოდა, ხოლო მოსალოდნელ სანქციებზე საუბრისას, განაცხადა, რომ ქართველები ქვეყანას ყველაფერს სწირავდნენ, ასე რომ, არც სანქციები იქნებოდა პრობლემა. მისი შეფასებით, სასაცილოა, როდესაც სუვერენიტეტის განსამტკიცებლად მიღებული კ ა ნ ო ნ პ რ ო ე ქ ტ ი ს ა ნ ა ღ მ დ ე გ ო ა ,

- „ხალხის ძალის“ გენერალური მდივნის, დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, ოპონენტებმა „მოლოტოვის კოქტეილებით“ თავდამსხმელებს გმირები უწოდეს, აქციებზე უცხოელები მოიყვანეს, უცხო ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების მეშვეობით, ქართველ ახალგაზრდებს „მაიდანის რევოლუციისკენ“ უბიძგეს და მიმართეს შეურაცხყოფასა და ბულინგს. თუმცა მმართველმა პარტიამ კანონპროექტი მაინც დაამტკიცა, რათა უზრუნველეყო საქართველოს უსაფრთხოება და სუვერენიტეტი.

მას შემდეგ, რაც დეპუტატებმა კანონპროექტის დამტკიცებას მხარი დაუჭირეს, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ პრესკონფერენციაზე კვლავ არაერთი შეთქმულების თეორია და პროპაგანდისტული ნარატივი გააჟღერა.

- კობახიძის განცხადებით, ქართველი ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი ანგარიშვალდებულია მხოლოდ ქართველი ხალხის წინაშე. მმართველი პარტიის ნადაწყვეტილების ისე წარმოსაჩენად, თითქოს ის ხალხის სურვილებს შეესაბამებოდა, კობახიძე **დაუსაბუთებლად** ამტკიცებდა, რომ უცხოური გავლენის გამჭვირვალობას

საქართველოს მოსახლეობის 80%, ხოლო უშუალოდ კანონს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ მოსახლეობის 60% უჭერს მხარს

- კობახიძე ირწმუნებოდა, რომ „ძალები“, რომელთაც საქართველოში რევოლუციის გაღვივება სურთ, აღშფოთებულნი არიან, რადგან „გამჭვირვალობის“ კანონი მსგავს სცენარს აზღვევს. მისი განცხადებით, **კანონპროექტი ხელს შეუწყობს ევროკავშირის ცხრა დათქმიდან ერთ-ერთის - დეპოლარიზაციის - შესრულებას**. აღნიშნული კანონი შექმნის უკეთეს ნიადაგს ევროკავშირში საქართველოს „ღირსებით“ გასაწევრიანებლად და უზრუნველყოფს, რომ 2030 წლისთვის საქართველო ყველა კანდიდატ ქვეყანაზე უკეთ იქნება მომზადებული.

- კობახიძემ კვლავ გააჟღერა **შეთქმულების თეორია, რომლის თანახმადაც, უცხო ძალებმა საქართველოში რევოლუციის მოწყობა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ორჯერ, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის მეშვეობით, სცადეს.** საქართველოს არა რადიკალიზაცია და რევოლუციის მოწყობის გამუდმებული მცდელობები, არამედ დამშვიდება და სტაბილურობა სჭირდება. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი სწორედ ზემოაღნიშნულ უმნიშვნელოვანეს მიზანს ემსახურება.

- მისი შეფასებით, თუ „გამჭვირვალობა“ არ იქნება უზრუნველყოფილი, საქართველო მუდმივად რევოლუციის მცდელობების საშიშროების წინაშე იქნება და ვერასოდეს გახდება ევროკავშირის წევრი. „ნახეთ, უკრაინასთან დაკავშირებით გერმანიის კანცლერმა განაცხადა, რომ კიდევ 30 წელი ვერ გახდება ნატოს წევრი ქვეყანა. ჩვენ არ გვინდა უკრაინიზაცია, - **განაცხადა კობახიძემ ოლაფ შოლცის კონტექსტიდან ამოგლეჯილ, პროსახელისუფლებო პროპაგანდის მიერ გავრცელებულ განცხადებაზე საპასუხოდ.**

- კობახიძე განაგრძობდა მტკიცებას, რომ ხელისუფლება მზადაა, „პოლიტიკურ უმცირესობას“ მოუსმინოს და მონაწილეობა მიიღოს საჯარო დისკუსიაში. „თუ დაამტკიცებენ, რომ ამ კანონში რაღაც არის პრობლემური, კი ბატონო“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა და განაცხადა, რომ **აშშ-ს, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებმა საჯარო დისკუსიაზე უარი განაცხადეს**, თუმცა აგრძელებდნენ საქართველოს შიდა პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობას, **„რადგან სინამდვილეში არგუმენტები არ ჰქონდათ კანონის წინააღმდეგ“.**

- **მმართველ პარტიას ვენეციის კომისიის პროფესიონალიზმთან დაკავშირებით ძალიან დაბალი წარმოდგენა აქვს -** აქედან გამომდინარე, მრავალი წელია, ვენეციის კომისიაში კანონპროექტი არ გაუგზავნია. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებაში არიან იურისტები, სამართლის დოქტორები და პროფესორები, რომელთაც ბევრად უფრო მაღალი კვალიფიკაცია აქვთ, ვიდრე ვენეციის კომისიის ექსპერტებს.

- კობახიძის განცხადებით, **ევროკავშირის ბიუროკრატიასა და სტრუქტურებში სერიოზული პრობლემებია, რის გამოც მას ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან**, ხოლო მუქარა სანქციებთან დაკავშირებით „აბსოლუტურად არასერიოზულია“. ამასთანავე, კობახიძემ განაცხადა, რომ ევროკავშირის ბიუროკრატიაში არსებული

პრობლემების მიუხედავად, საქართველომ მაინც შეძლო, წინ წაეწია ევროინტეგრაციის მიმართულებით.

მმართველი პარტიის რადიკალური ფრთა მოითხოვს, კანონის მოწინააღმდეგეები ჯაშუშობის მუხლით გასამართლდნენ;

„ქართული ოცნების“ რადიკალური ფრთის, „ხალხის ძალის“ წევრის, გურამ მაჭარაშვილის განცხადებით, „გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმა „აგენტურა“ გამოააშკარავა. პროტესტის დამშვიდებასთან ერთად, მხოლოდ „ჯაშუშური ქსელის წარმომადგენლები“ არ ჩერდებიან, რადგან ისინი მოქმედებენ „შავი ფულის“ სანაცვლოდ, იმ ქვეყნების დავალებით, რომლებიც „გამჭვირვალობის კანონს“ ეწინააღმდეგებიან. მაჭარაშვილის შეფასებით, კანონის მოწინააღმდეგეები **ჯაშუშობის მუხლით უნდა გასამართლდნენ** და სასამართლოში წარადგინონ მტკიცებულებები, თუ ვის, რა თანხის სანაცვლოდ და რა დავალებებით ემსახურებოდნენ. მაჭარაშვილის განმარტებით, „საპარლამენტო არჩევნების შემდეგ **ტელევიზიის პირდაპირ ეთერში** ამგვარი სასამართლო პროცესის გამართვას ალტერნატივა არ აქვს“.

- „საქართველოში სამართალი უნდა აღსრულდეს შესაბამისი პროცედურების მიხედვით. გამიჭირდება პასუხის გაცემა. თუ ვინმე ჩაიდენს დანაშაულს, რა თქმა უნდა, უნდა გასამართლდეს. ეს არის ზოგადი პასუხი“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მაჭარაშვილის განცხადების შესახებ, რომლის თანახმადაც, კანონის მოწინააღმდეგეები ჯაშუშობის მუხლით უნდა გასამართლდნენ, ხოლო ეს სასამართლო პროცესები პირდაპირ ეთერში უნდა გაშუქდეს.
- კახა კალაძის განცხადებით, ფინანსური სანქციები დაწესდება იმ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომლებიც კანონს არ დაემორჩილებიან. ამასთანავე, ამ ორგანიზაციების ანგარიშები დაყადაღდება და **ისინი ფუნქციონირებას ვეღარ შეძლებენ.** მისი შეფასებით, თუ ორგანიზაციას ბოროტი ზრახვები არ აქვს, არც პრობლემა უნდა ჰქონდეთ ფინანსური დეკლარაციების შევსებასთან დაკავშირებით. მან კვლავ გაიმეორა ნარატივი, რომლის თანახმადაც, უცხო ფულით რევოლუციური სცენარები ფინანსდებოდა.
- „კანონი მივიღეთ, საკაშვილიც ციხეშია, ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ იმ საკონსტიტუციო ცვლილებასაც დავაინიცირებთ და ყველაფერი კარგად იქნება“, - განაცხადა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ირაკლი ზარქუამ. **ზარქუამ აღნიშნა, რომ „კანონის მოწინააღმდეგე უსამშობლოებს“ დაფინანსება აღარ ექნებათ, რათა „მაიდანი“ მოაწყონ და საქართველოში მეორე ფრონტი გახსნან.**

„ქართული ოცნება“ თავს ესხმის აშშ-ს, გერმანიას, ლიეტუვას, ლატვიას, ესტონეთსა და ისლანდიას

- პრემიერ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის განცხადებით, ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს **გადახედვა სჭირდება**, რადგან ბოლოდროინდელი აქციები რევოლუციის მესამე მცდელობა იყო. რევოლუციური მცდელობების გაღვივებაში კობახიძემ დაადანაშაულა აშშ-ს ყოფილი ელჩი კელი დეგნანიც.

- კობახიძემ გააკრიტიკა გერმანიის ელჩიც, რომლის განცხადებითაც, საქართველომ ევროპულ გზას გადაუხვია. პრემიერ-მინისტრის შეფასებით, ვინაიდან ელჩი „ლელოს“ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში ბოლნისში იმყოფებოდა, „ასეთი არასერიოზული ქმედებების ფონზე, **ამ კაცის განცხადებებს დიდ მნიშვნელობას ვერ მიანიჭებს“.** ამასთანავე, კობახიძემ განაცხადა, რომ ისეთი პასუხისმგებლობით აღსავსე სახელმწიფო, როგორიც გერმანიაა, ელჩად არ უნდა გზავნიდეს პიტერ ფიშერის მსგავს ადამიანებს, რომლებიც **„ანტიქართულ განცხადებებს“** აკეთებენ.

- კობახიძის კრიტიკის მორიგი სამიზნე ლიეტუვა გახდა. პრემიერ-მინისტრის მტკიცებით, ლიეტუვის ხელისუფლების გადაწყვეტილება, დაებარებინა საქართველოს ელჩი კანონის მიღებასთან დაკავშირებით, **„თავხედობაა და მეტი არაფერი“.** კობახიძის შეფასებით, მის კოლეგას უნდა გაეკიცხა საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში ანტისახელისუფლებო აქციაზე დასწრების გამო.

- ლიეტუვის, ლატვიის, ესტონეთისა და ისლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრები თბილისის მერმა კახა კალაძემაც გააკრიტიკა იმავე, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო. კალაძის შეფასებით, აქციებზე მისვლით პოლიტიკოსებმა ქართველი ხალხის მიმართ უპატივცემულობა გამოხატეს.

- ამასთანავე, კალაძე ირწმუნებოდა, რომ **ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები საქართველოს მეგობრებად პოზიციონირებენ, თითქოს გული შესტკივათ ქვეყანაზე, თუმცა, ამავდროულად, ვერ მალავენ სურვილს, რომ საქართველოშიც „მაიდანი“ გაიმეორონ.** „მაიდანმა რა მდგომარეობაში ჩააყენა უკრაინა, ამაზე არავინ საუბრობს“,

- პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ დეპუტატების დასანქცირება გასცდება დემოკრატიულ ურთიერთობას, საღ აზრსა და დასავლურ ღირებულებებს. მისი შეფასებით, მსგავსი მოლოდინები არსებობს მხოლოდ ისეთი რეჟიმებისგან, რომლებიც უცხო ქვეყნებზე დომინირებას ცდილობენ და არა - დემოკრატიული სამყაროს მხრიდან. **„ეს არის რუსული სტილი.** ამას რუსეთი აკეთებს უკრაინის მიმართ, როდესაც ამბობს, რომ სინამდვილეში ხელისუფლება არ წარმოადგენს უკრაინელ ხალხს“, - განაცხადა პაპუაშვილმა.

- ამასთანავე, პაპუაშვილმა განაცხადა, რომ ორი თვის განმავლობაში იყო მუქარა, შანტაჟი, კანონის სტიგმატიზება, უცხო ქვეყნების მინისტრები აქციაზე, „მაიდანის“ ხსენება გარედან და რევოლუციის კოპირება აქციებზე. ჩამოთვლილი ფაქტები ანტიევროპული და ბუნებით საბჭოთაა. პაპუაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ **„თუ ჩვენ [ქართველებმა] თვითონ არ ვიწამეთ ჩვენი თავის, რუსიც დაგვჩაგრავს და ევროპელიც“.**

- პაპუაშვილის მტკიცებით, არცერთ დასავლურ საელჩოსა და დონორ ორგანიზაციას გაუკეთებია განცხადება, რომლითაც ისინი გაემიჯნებოდნენ აქციების მონაწილეთა ძალადობას, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები ხალხს პარლამენტის შენობის პიკეტირებისა და პოლიციელებზე თავდასხმისკენ მოუწოდებდნენ.

- პარლამენტის თავმჯდომარემ გაავრცელა მცდარი ინფორმაცია „ჯემნიუსის“ - ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ონლაინმედიის - შესახებ, რომელიც ვებგვერდზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალკე სახელმწიფოებად მოხსენიებაში დაადანაშაულა. **„ევროკავშირმა აღიარა ჩვენი ტერიტორიის დაშლა, აღიარა ოკუპაცია?“** - ამბობდა პაპუაშვილი. სინამდვილეში, „ჯემნიუსის“ ვებგვერდზე, სექცია „გეოგრაფია“ კავკასიაში სხვადასხვა გეოგრაფიულ ერთეულს აერთიანებს, სადაც გამოცემას ადგილობრივი ჟურნალისტები ჰყავს და საიდანაც ინფორმაციას აშუქებს.

ანაკლიის პორტის პროექტში „ქართულმა ოცნებამ“ ჩინური კონსორციუმი გამოაცხადა გამარჯვებულად

„უცხოეთის აგენტების შესახებ“ კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის მომდევნო დღეს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ რამდენიმე დღეში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის პროექტში გამარჯვებულად ჩინური კონსორციუმი - შპს CCCC (China Communications Construction Company Limited) და China Harbor Investment გამოცხადდებოდნენ. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერის განცხადებით, გამარჯვებული კომპანია, CCCC, აშშ-ში სანქცირებულია საეჭვო სამხედრო ფორპოსტების მშენებლობაში ჩართულობის ნიადაგზე. სამშენებლო კომპანიის ერთ-ერთი წინა პროექტის ფარგლებში - რომელიც, ანაკლიის პროექტის მსგავსად, თავდაპირველად საჯარო და კერძო თანამშრომლობად ინიციირდა - სესხის რესტრუქტურიზაციის პირობებში, შრი-ლანკამ ჰამბანტოტის პორტი ჩინეთს 99 წლით გადაუფორმა. შედეგად, პარტნიორობამ ჩინეთს მეტი უსამართლო და დაუბალანსებელი სარგებელი მოუტანა, ვიდრე - მასპინძელ ქვეყანას.

- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა, რომ CCCC შედის მსოფლიოს ე.წ. Fortune 500-ში და არაერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ინფრასტრუქტურულ პროექტში ყოფილა ჩართული. ხოლო სანქცირებად საქმიანობაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მინისტრმა განმარტა, რომ აშშ-მ კომპანიას გარკვეული შეზღუდვები დაუწესა - ამ კომპანიასთან კონკრეტული სტრატეგიული პროდუქტების ან მომსახურების მიწოდების შემთხვევაში, ამერიკულმა კომპანიებმა ვაჭრობის სამინისტროს მხრიდან თანხმობა უნდა მიიროს - რაც, დავითაშვილის შეფასებით, სანქციებს არ ნიშნავს. თუმცა CCCC შეყვანილია აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის უცხოური აქტივების კონტროლის ოფისის საიტზე განთავსებულ სანქციების სიაში.

- ანაკლიის პორტის პროექტში ჩინური კონსორციუმის ჩართულობით გამოწვეულ კრიტიკას კობახიძემ „სპეკულაცია“ უწოდა და განაცხადა, რომ ამ კომპანიას უდიდესი გამოცდილება აქვს, რაც პროექტის უმაღლესი სტანდარტებით განხორციელების გარანტიას იძლევა. მან არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკოსები, **რომლებიც დაფინანსებას „საეჭვო უცხოური წყაროებიდან“ იღებენ, სპეკულაციების გავრცელებასა და „ანტიჩინური კამპანიის“ წარმოებაში დაადანაშაულა.**

- მმართველი პარტიის თავმჯდომარის, ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ჩინეთის ინტერესი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ანაკლიის პორტის მშენებლობაში მისასალმებელია, რადგან ჩინეთის ჩართულობა საქართველოს დაეხმარება, კვლავ

გახდეს ერთ-ერთი უმთავრესი დამაკავშირებელი დერეფანი აზიასა და ევროპას შორის. მან აღნიშნა, რომ მოლაპარაკების მცდელობების მიუხედავად, არცერთმა დასავლურმა კომპანიამ არ გამოხატა ინტერესი. ამასთანავე, ჩინეთთან ეკონომიკურ კავშირებს აშშ და ევროპაც ამყარებენ, ასე რომ, ჩინეთის ჩართულობა ანაკლიის პროექტში არა პრობლემად, არამედ მნიშვნელოვან შესაძლებლობად უნდა იქნეს მიჩნეული.

- მოძრაობა „ხალხის ძალამ“ ანაკლიის პორტის პროექტით გამოწვეული ვითარება „გლობალური ომის პარტიის“ ნარატივის გასამყარებლად გამოიყენა. მოძრაობა ირწმუნებოდა, რომ ზემოაღნიშნულმა „პარტიამ“ ჩინური კონსორციუმის წინააღმდეგ „აგენტურა“ გამოყვანა და საქართველოს ხელისუფლება ამერიკული ინტერესების დაზიანებაში დაადანაშაულა. განცხადების თანახმად, მიუხედავად ღიაობისა, რომ პროექტი აშშ-ს ინვესტიციით განხორციელებულიყო, ინტერესი არცერთ ამერიკულ კომპანიას დაუფიქსირებია ერთწლიანი ტენდერის განმავლობაში. მოძრაობა აღნიშნულ განცხადებაში კონსპირირებდა, რომ აშშ-მ პროექტში მიზანმიმართულად არ მიიღო მონაწილეობა, რათა საქართველოსა და ევროპის ეკონომიკის გაძლიერებისთვის კვლავ „წარმატებულად“ შეეშალა ხელი - ამ მიზნის მისაღწევად, აშშ-მ ევროპა „ომის ქარცეცხლში“ უკვე სამჯერ გახვია: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს, 2014 წლის რუსეთ-უკრაინისა და მიმდინარე რუსეთ-უკრაინის ომებით. მოძრაობა ირწმუნებოდა, რომ აშშ-ს არა - საქართველოს ეკონომიკურად გაძლიერება, არამედ ხელისუფლებაში „თავისი აგენტურის“ რევოლუციური გზით დაბრუნება სურს.

პროკრემლისტური დაჯგუფებები მხარს უჭერენ „აგენტების კანონის“ მიღებას

- პრორუსული ტელეკომპანია „სეზონის“ წამყვანი ნიკოლოზ მჟავანაძე „უცხოეთის აგენტების შესახებ“ კანონპროექტის მიღებას გამოეხმაურა, რომელიც, მისი შეფასებით, **დასავლეთის აგენტების „თავისუფალ პარპაშს“ ბოლოს მოუღებს.** ამასთანავე, მჟავანაძე ამბობდა, რომ საჭიროა, **პარტიამ კანონპროექტი კიდევ უფრო გაამკაცროს**, მსგავსად მრავალი ევროპული ქვეყნისა. ის ირწმუნებოდა, რომ რუსეთი, თურქეთი და აზერბაიჯანი არ დაუშვებენ, რომ ხელისუფლებაში ანტირუსული და ანტიქართული პარტიები მოვიდნენ და აშშ-სა და ნატოს დროშები აფრიალონ.
- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთმა წამყვანმა, გიორგი ძველაიამ გაიმეორა პრემიერ-მინისტრის ნარატივი, რომლის თანახმადაც, გერმანიის ელჩი „ლელოს“ წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთო. **წამყვანმა ელჩის განცხადება, რომ საქართველომ ევროპულ გზას გადაუხვია, შეაფასა, როგორც „არადიპლომატიური მუქარა“.**
- **ხელისუფლების შეცვლილი რიტორიკა დასავლეთთან მიმართებით „ალტ-ინფოს“ ეთერის სტუმარმა დადებითად შეაფასა** და განაცხადა, რომ საქართველო დასავლეთის 30-წლიანი კოლონიზაციისგან თანდათანობით თავისუფლდება.
- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთმა წევრმა ბოლოდროინდელ მოვლენებს **საქართველოს „მაიდანიზაციის“ ევროპის მხარდაჭერილი მცდელობები** უწოდა. მორიგი პროპაგანდისტის შეფასებით, მმართველი პარტიის გადაწყვეტილებები საქართველოს ეროვნულ ინტერესებსა და კონსტიტუციურ წესრიგს ძალადობრივი გადატრიალების მცდელობებისაგან იცავს.

- რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გორჩაკოვის ფონდის საქართველოს ოფისის თავმჯდომარე დიმიტრი ლორთქიფანიძე, მმართველი პარტიის მსგავსად, ირწმუნებოდა, რომ **აშშ-ს "FARA" აშშ-ში მოქმედ ყველა არასამთავრობო ორგანიზაციაზე ვრცელდება, რომელიც დაფინანსებას უცხოეთიდან იღებს** - აქედან გამომდინარე, თითოეული ორგანიზაცია, რომელიც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, აგენტად კლასიფიცირდება. აგრეთვე, ლორთქიფანიძის შეფასებით, ვინაიდან მსგავსი კანონი 40 სხვა ქვეყანაში მოქმედებს, მისი ქართული ვერსიის კრიტიკა უსამართლოა.
- ტელეკომპანია „სეზონის" ეთერს პრორუსულად განწყობილი პროპაგანდისტი ჰამლეტ ჭიპაშვილიც ესტუმრა, რომელიც ირწმუნებოდა, რომ პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და ოპოზიცია უცხოეთის აგენტები არიან და სწორედ ამიტომ უწოდეს კანონპროექტს „რუსული". მისი თქმით, **აღნიშნული კანონპროექტი რუსეთში, აშშ-სა და ზოგიერთ ევროპულ ქვეყანაში უფრო მკაცრია, ასე რომ, კანონის ქართული ვერსიის წინააღმდეგობა არამართებულია.**
- „ალტ-ინფოს" ეთერის მორიგი სტუმარი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ პრეზიდენტი ზურაბიშვილი აგენტია და საფრანგეთის ინტერესებისადმი უფრო ერთგულადაა განწყობილი, ვიდრე - საქართველოს. პროპაგანდისტის თქმით, **საქართველო პრეზიდენტისთვის მეორეხარისხოვანია, რადგან მას მხოლოდ თავისი დასავლელი პატრონების მითითებები აინტერესებს.**
- ტელეკომპანია „სეზონის" სტუმარი ირწმუნებოდა, რომ **„სერიოზული დასავლური ძალები" ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ზურგს უმაგრებენ, ხოლო ქართველ ახალგაზრდებს აქციებზე მისვლაში ფულს უხდიან.** მისი შეფასებით, ახალგაზრდა დემონსტრანტებმა არც კი იციან, რისთვის იბრძვიან, თუმცა აღნიშნული ბრძოლა ომითა და ქვეყნის დესტაბილიზაციით დასრულდება.
- „ალტ-ინფოს" გადაცემის მორიგი სტუმრის თქმით, **ევროკავშირი მხოლოდ უცხოეთის აგენტებს სურთ,** რადგან ეს უკანასკნელნი ევროპული ინტერესების გამტარებლები არიან. თუმცა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების მოწინააღმდეგეებს ქვეყნის გაძლიერება, თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი ამოძრავებთ.

სხვა ანტიდასავლური ნარატივები, რომლებიც პროკრემლისტურმა დაჯგუფებებმა გააჟღერეს

- ალექსანდრე ფალავანდიშვილი, პროპაგანდისტი და „ალტ-ინფოს" თანაწამყვანი, ირწმუნებოდა, რომ **დასავლეთი საქართველოს საერთოდ არ უჭერს მხარს,** მათ შორის უსაფრთხოების, ეკონომიკური განვითარებისა და ტერიტორიული მთლიანობის მისაღწევად,

- პრორუსული ტელეკომპანია „სეზონის" ეთერში, პრორუსულად განწყობილი პროპაგანდისტი ამბობდა, რომ ევროკავშირთან პარტნიორობამ საქართველოს მოსახლეობა გაანახევრა, რასაც შეიძლება „ქართველი ხალხის გენოციდიც" ეწოდოს. ასე რომ, საქართველომ ევროინტეგრაციის გზიდან უნდა გადაუხვიოს.

- მიხეილ ჟღენტის, პრორუსული პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის" გენერალური მდივნის, განცხადებით, **1992-1993 წლებში რუსეთ-საქართველოს ომი აფხაზეთში დასავლეთმა გამოიწვია**, რათა საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა

გაემწვავებინა. მიუხედავად ამისა, მისი შეფასებით, ქართველმა დეპუტატებმა **დსთ-ში გაწევრიანებით მყარი ნაბიჯი გადადგეს, რამაც საქართველოს ეკონომიკური განვითარება მოუტანა, კორუფციისა და ინფლაციის მიუხედავად.** როგორც კი დასავლეთმა საქართველოს განვითარება იხილა, 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ მოაწყო.

- პრორუსული პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ მდივნის, თემურ ფიფიას შეფასებით, საქართველოში გამართული აქციები ანტისახელმწიფოებრივია, რადგან მისი ლიდერები სტუდენტებსა და ახალგაზრდებს გადატრიალებისკენ მოუწოდებენ. ამასთანავე, მან განმარტა, რომ **ბოლო რამდენიმე ათწლეულია, ქართველი ახალგაზრდების გონება საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო აზრებითაა მოწამლული დასავლეთის მიერ.**

- ტელეკომპანია „სეზონის“ წამყვანის, ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, **ევროპაში უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლები ორიენტაციის მიხედვით იყოფა:** პირველ სართულზე ტრანსგენდერები ცხოვრობენ, მეორეზე - გეები, მესამეზე - ლესბოსელები, ხოლო ჰეტეროსექსუალებისთვის მეოთხე სართულია გამოყოფილი. „აქ გზავნით შვილებს?“ - განაცხადა მჟავანაძემ.

- „ალტ-ინფოს“ ეთერში პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ საქართველოში ორგანიზებულ რევოლუციის მცდელობებს დასავლეთი აფინანსებს. იმისათვის, რომ „მაიდანის“ მსგავსი სცენარი არ განვითარდეს საქართველოშიც, **ხელისუფლებამ დასავლეთის წინააღმდეგ რადიკალური ნაბიჯები უნდა გადადგას.**

- მორიგი პროპაგანდისტის თქმით, საქართველო არ უნდა ენდოს აშშ-ს, რადგან, **ბოლო** ნარატივის თანახმად, აშშ საქართველოს სამოთხეს ჰპირდება და ჯოჯოხეთს სთავაზობს.

- პროპაგანდისტის თქმით, როდესაც უკრაინაში რუსეთის შეიარაღებული თავდასხმა დასრულდება, ევროკავშირი დაიშლება და ევროპა დღევანდელ სახეს დაკარგავს. ამასთანავე, გარკვეული ქვეყნები კავშირს მაღალი გადასახადებისა და ეკონომიკური პრობლემების გამო დატოვებენ. პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ **ვინაიდან ბალტიისპირა ქვეყნები რუსეთთან ომის თავიდან არიდებას ცდილობენ, სწორედ ამიტომ სურთ „მეორე ფრონტის“ საქართველოში გახსნა.**